

**„საქართველოში სატრანსპორტო საშუალებებიდან
გარემოს დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი
ლონისძიებების შესახებ“ სახელმწიფო
პროგრამის პროექტის თაობაზე¹**

3 ივლისი, 2013

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ მწვანე ალტერნატივა მიესალმება საქართველოს მთავრობის და გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივას, დაგეგმოს ღონისძიებები საავტომობილო ტრანსპორტიდან გარემოს დაბინძურების შესამცირებლად. ეს უმნიშვნელოვანესი სფერო, მოგვხსენებთ, პრაქტიკულად, დაურეგულირებელი იყო ბოლო წლების განმავლობაში; ამდენად, ინიციატივა უდავოდ მისასალმებელია. გარდა საკითხის აქტუალობისა, წარმოდგენილი დოკუმენტის მნიშვნელოვნება განისაზღვრება თავად დოკუმენტის ხასიათითაც - ასეთი დოკუმენტის არსებობა, ჩვენი აზრით, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება გარემოსდაცვითი დაგეგმვის გაუმჯობესების და გარემოს დაცვის სხვა სექტორებში (კერძოდ კი, ტრანსპორტის სექტორში) ინტეგრაციის მიმართულებით.

ჩვენი ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები ეხება არა პროგრამით შემოთავაზებული ღონისძიებების, არამედ თავად პროგრამის შინაარსს; კერძოდ, კი იმას, თუ რამდენად იძლევა პროგრამა მისი შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობას, ასევე, მოიცავს, თუ არა საზოგადოებასთან ანგარიშგების მექანიზმებს. ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ეს პროგრამის ის ასპექტებია, რომლებიც მნიშვნელოვანია მისი წარმატებით შესრულებისთვის.

ჩვენი აზრით, შემოთავაზებული ფორმით პროგრამა არ იძლევა მისი შესრულების ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობას. მართალია, პროგრამაში დადგენილია ამა თუ იმ ღონისძიების შესრულების საბოლოო ვადა, თუმცა, ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დაინტერესებულმა საზოგადოებამ (ან თუნდაც მთავრობამ) დაადგინოს, თუ როგორ სრულდება (და საერთოდ, სრულდება, თუ არა) ღონისძიება საბოლოო ვადის დადგომამდე. ვფიქრობთ, პროგრამის შესრულების მონიტორინგისა და შეფასებისთვის, აუცილებელია, რომ მასში მითითებული ყოველი ღონისძიება გაიშალოს ქვე-ღონისძიებებად და ასევე, მიეთითოს შესრულების შუალედური ვადები (ქვე-ღონისძიებების შესრულების ვადები).

ამასთან, დაგვეთანხმებით, რომ მსგავსი პროგრამების განხორციელებისას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბარიერი, როგორც წესი, ფინანსური რესურსების ნაკლებობაა. ის, რომ არც პროგრამაში და არც განკარგულების პროექტის ტექსტში, არაფერია აღნიშნული დაგეგმილი ღონისძიებების

¹ ეს მოსაზრებები და რეკომენდაციები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარედგინა სამინისტროს ამ განცხადების საპასუხოდ:
http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=40&info_id=2305.

განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსური რესურსების მოცულობასა და წყაროზე, ან საბიუჯეტო დაგეგმვისას პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების გათვალისწინების აუცილებლობაზე, გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ პროგრამის არარეალისტურობა ამ ეტაპზე ნათელია.

რაც შეეხება საზოგადოებასთან ანგარიშგებას, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში დადგენილი იყოს პროგრამის შესრულების მდგომარეობაზე საზოგადოებასთან ანგარიშგების ვადები (სასურველია წელიწადში ორჯერ მაინც) და ფორმები. სასურველია, ასევე, რომ განისაზღვროს ანგარიშის სავარაუდო შინაარსი - ძირითადი საკითხების ჩამონათვალი - რომელთა შორის, მნიშვნელოვანია, რომ ადგილი დაეთმოს პროგრამის განხორციელებისას გამოვლენილი სირთულეების აღწერას.

ჩვენი აზრით, ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციების შესრულება სასარგებლო იქნება არამარტო საზოგადოებისთვის, არამედ უპირველეს ყოვლისა, იმ უწყებებისთვის, რომელთაც პროგრამით ევალებათ გარკვეული ღონისძიებების გატარება.

დასასრულს, არ შეიძლება არ გამოვთქვათ ჩვენი კრიტიკა იმ მოკლე ვადის გამო, რომელიც გამოიყო პროგრამაზე მოსაზრებების წარმოსადგენად. წინამორბედი ხელისუფლების პირობებში, დიდი ვარაუდით, ეს დოკუმენტი არც შემუშავდებოდა და არც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა დამტკიცებამდე (შესაძლოა, დამტკიცების შემდგომაც); თუმცა, ეს არ ამართლებს ამჟამინდელი მენეჯმენტის მიერ სულ რვა სამუშაო დღის გამოყოფას დოკუმენტზე კომენტარებისთვის.